F76 N460
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 43 (254). ფასი 30 კაპ.

სტალინური კონსტიტუციის დროშა მიუძღვის წინ საბჭოთა მებრძოლებს

ექვსი წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს, სრულიად საკავშირო საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობამ, გამოხატა რა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის უძლეველი ნებისყოფა, მიიღო და დაამტკიცა სტალინური კონსტიტუცია. სულგანაბული უსმენდა მაშინ მთელი ჩვენი ქვეყანა, ყველა მშრომელი მშობლიური ბელადის ამხანაგ **სტალინის** ბრძნულ სიტყვებს ახალი კონსტიტუციის შესახებ:

„ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე. ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში,—უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში. ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც“.

მთელი ჩვენი სამშობლო, ყველა ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტი, დაძაბული ყურადღებით უსმენდა რა საყვარელ ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს, კვლავ განიცდიდა ბრძოლით განვლილ თავის შინაარსიან ცხოვრებას, კვლავ თვალს ავლებდა მთელს საბჭოთა სინამდვილეს, რომ საქვეყნოდ განეცხადებინა: სტალინური კონსტიტუცია არის დიად მონაპოვართა კოდექსი, **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეულ გამარჯვებათა შეჯამება. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის „მთავარ საფუძველს“ შეადგენენ სოციალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები, უკვე მოპოვებულნი და განხორციელებულნი: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება; ექსპლოატაციისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია; უმრავლესობის სიღატაკისა და უმცირესობის ფუფუნების ლიკვიდაცია; უმუშევრობის ლიკვიდაცია, შრომა, როგორც თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე ფორმულით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერცა სჭამს“ (სტალინი).

სტალინურმა კონსტიტუციამ განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა სოციალისტური საზოგადოების ადამიანი. მან უზრუნველჰყო სსრ კავშირის მოქალაქეთათვის უფლება შრომისა, უფლება განათლებისა, უფლება დასვენებისა, უფლება გაუჭირვებელი ცხოვრებისა მოხუცობის წლებში. მან უზრუნველჰყო მამაკაცის უფლებებთან ქალთა უფლებების გათანაბრება პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. უზრუნველჰყო ერთა სრული თანასწორობა, შექმნა ურყევი გარანტია ყველა ერის სამეურნეო და კულტურული წინსვლისთვის, მათი ძმობისა და მეგობრობისათვის.

წლინახევრის წინად, სტალინურ ხარტიაში აღბეჭდილ ადამიანის დიად უფლებათა ყველაზე ბოროტმა და გარეწარმა მტერმა—ბარბაროსულმა ფაშიზმმა თავისი დაჯავშნული ურდოები დასძრა სტალინური კონსტიტუციის მზით განათებული საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. მან ჩაგვრისა, ძალმომრეობისა და მონობის მძიმე და საშინელი უღელი დაადგა დროებით ოკუპირებულ მხარეების ხალხებს — უკრაინელებს, ბელორუსებს, ლიტველებს, ლატვიელებს, ესტონელებს და სხვ. ფაშიზმმა თავისი უხეში ჩექმით გასთელა და შეურაცხჰყო ღირსება და პატიოსნება, გრძნობა და უფლება საბჭოთა ადამიანებისა, უდიდესი საფრთხის ქვეშ დააყენა თვით ფიზიკური არსებობა ჩვენი ხალხებისა. ჩვენი ღვიძლი მშობლები, ჩვენი ღვიძლი შვილები, ჩვენი ღვიძლი დაძმანი გმინავენ დღეს ფაშიზმის ჯოჯოხეთურ კირთებს ქვეშ დროებით ოკუპირებულ ადგილებში. მაგრამ საბჭოთა ადამიანები, ისინი, რომლებმაც ერთხელ იგემეს ბედნიერება სტალინურ კონსტიტუციაში აღბეჭდილი თავისუფალი ცხოვრებისა, მტკიცე და შეუდრეკელნი რჩებიან. უამრავი მსხვერპლის ფასად მტერმა მოახერხა ჩვენი მიწა-წყლის ერთი ნაწილის დაჭერა, მაგრამ მან ვერ შესძლო საბჭოთა ხალხების დამორჩილება დროებით დაპყრობილ მიწა-წყალზე, სადაც საყოველთაო სახალხო პარტიზანული ომის ცეცხლი გიზგიზებს. მილიონი საბჭოთა პატრიოტები—ვაჟკაცნი და მოხუცნიც-კი, დედაკაცები და ბავშვებიც-კი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვიან იმისათვის, რომ კვლავ ააფრიალონ თავიანთ მიწა-წყალზე დროშა სტალინური კონსტიტუციისა.

თავისუფლების ბრწყინვალე ხარტია—სტალინური კონსტიტუცია, როგორც ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ჩირაღდანი, წინ მიუძღვის და გზას უნათებს ჩვენს გაუტეხელ მშობლიურ წითელ არმიას, რომელიც ზღაპრული დევგმირივით მუსრავს, სდევნის და დასავლეთისკენ მიერეკება ფაშისტ დამპყრობელთა ბარბაროსულ ურდოებს.

ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას სულიერად აიარაღებს ურყევი რწმენა იმისა, რომ სისხლი, რომელსაც დღეს უხვად ღვრიან ჩვენი ადამიანები სამშობლოს, სტალინური კონსტიტუციის ქვეყნის თავისუფლების დასაცავად, ამაოდ არ ჩაივლის, რომ იგი თავის შედეგებს მოგვცემს, რომ პირსისხლიანი ფაშისტური ბარბაროსები განადგურებულნი იქნებიან.

„სამშობლოსათვის“

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ გამოსცა სამამულო ომის მონაწილე ქართველი მებრძოლებისადმი მიძღვნილი ნარკვევებისა და ლექსების ახალი კრებული, სათაურით „სამშობლოსათვის“.

კრებული იხსნება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ი. თავაძის** მოკლე წინასიტყვაობით. მას მოსდევს სია ქართველი მეომრებისა, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დაჯილდოებული არიან სსრკ-ის ორდენებით და მედლებით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის. ამავე მეომრების სიმამაცესა და ვაჟკაცობაზე არის დაწერილი მეტწილად კრებულში მოთავსებული ნარკვევები—ბატალიონის უფროსი კომისრის კ. სოხაძისა, მწერლების—სიმონ ჩიქოვანისა, ირაკლი აბაშიძისა, ილო მოსაშვილისა, ბატალიონის კომისრის ლ. დგებუაძისა, ბატალიონის კომისრის ნ. ვალუევისა, უფროსი სერჟანტების ი. ბახიასი და შ. მაისაიასი, უფროსი ლეიტენანტის გ. ზაქარიაძის, სერჟანტ ი. ბარამიძისა, წითელარმიელი ვ. თოხაძის და სხვ. კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე ჩვენი მოწინავე პოეტების: ა. აბაშელის, ირაკლი აბაშიძის, ალიო მაშაშვილის, ილო მოსაშვილის, სიმონ ჩიქოვანის ლექსები, რომლებიც მეტწილად უშუალოდ ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებებით არიან დაწერილნი და გადმოგვცემენ ქართველ მეომართა მტკიცე საბრძოლო განწყობილებას, მათ გულადობას და შეუპოვრობას. ღრმა ინტერესით იკითხება ომის მონაწილე ქართველ მეომართა კორესპონდენციები და ნარკვევები, სადაც მაღალფარდოვანებისა და ხელოვნური სიტყვაკაზმულობის გარეშე მოცემულია საუკეთესო ქართველი მებრძოლების საომარი გამოცდილება. კრებულში შეტანილი ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსებიც გამოირჩევიან მაღალი მხატვრული ხარისხით, განცდების სიღრმით და უშუალობით. კრებულში დაბეჭდილია სამამულო ომის მონაწილე მრავალი ქართველი გმირის ფოტოსურათი.

„ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ფრონტზე,—ნათქვამია ამ კრებულის წინასიტყვაობაში,—გმირულად იბრძვიან მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს მამაცი შვილები. ისინი იცავენ ჩვენი ქვეყნის ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მათ გმირობის უქრობი დიდებით შეამკეს სოციალისტური სამშობლოს საბრძოლო დროშები. ამ მებრძოლთა შორის არიან საბჭოთა საქართველოს შვილები“.

ამ წიგნის დანიშნულებაა მოგვითხროს, თუ რა მამაცად ებრძვიან ქართველი ხალხის გმირები საზიზღარ გერმანელ ოკუპანტებს, გვიჩვენოს, თუ რა გმირულად იცავენ სოციალისტურ სამშობლოს მოძმე ხალხების შვილებთან ერთად ქართველი მეომრებიც, რომელნიც ულმობელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მიდიან დიდი **სტალინის** სახელით აღფრთოვანებულნი და აახლოვებენ ჰიტლერული ხროვის სრული განადგურების ჟამს. ამ თავის დანიშნულებას წიგნი უდავოდ ასრულებს.

კრებული „სამშობლოსათვის“ გამოცემულია ამხ. **ვ. ხატიაშვილის** რედაქტორობით.

ორი ლექსი

რევაზ მარგიანი

გაფრინდი ჩემო თეთრო თოლია

გაფრინდი, ჩემო თეთრო თოლია,
შეინავარდე, შენი კვნესამე,
იქ, სადაც ყვავილს დაუთოვლია,
ჩემს საქართველოს მთებს მიესალმე.

გაფრინდი, ორი ზღვა გადალესე
და როცა შეგხვდეს ლურჯი ხმელეთი,
იცანი—ნისლში დამდგარი სერზე
ჩემი სვანეთი და იმერეთი.

მთა დაწინწკლულა, როგორც ფორეჯი,
ჩვენ ფრონტზე გვესმის მშობლის ნაბიჯი,
სამშობლოსათვის ამ სიშორეში
ვართ ათასები ძმადშენაფიცი.

გაფრინდი, ჩემო თეთრო თოლია,
იქ, სადაც ქართველს უხნავს გუთანით,
იქ, სადაც მთებზე მხოლოდ თოვლია
და თოვლისთმიან დედას უთხარი,

რომ ჩვენ აქა ვართ, სადაც ნისლია
და გრგვინვა ისმის განუწყვეტელი,
სადაც ბიჭები რისხვით ისვრიან
და ამართულვართ, როგორც კედელი.

რომ ჩვენ თქვენთან ვართ მარად და მკვიდრად,
ნათელი გვადგას მშობელი დედის
ჩვენ აქ ვიქნებით მანამდის, ვიდრე
არ დაიმსხვრევა ვერაგ მტრის ქედი!

მამულისათვის ამ სიშორეში
ერთად ვართ, მგლებთან ჩვენც გვიბრძოლია,
იქ, სადაც მთაა—ჭრელი ფორეჯი,
გაფრინდი, მალე, ჩემო თოლია.

გამოსალმება

მას დაეხუჭა თვალები მშვიდათ
მე დავიხარე მის მკერდთან თრთოლვით,
მას შერჩენოდა ღიმილი წმინდა
და ეყრებოდა წამწამებს თოვლი.

როგორი მშვიდი საღამო იდგა,
ირგვლივ მეფობდა სიმშვიდე სრული,
მე დაჩოქილი ვიყავი დიდხანს
და მეგობრისთვის მტკიოდა გული.

მას დაეხუჭა თვალები მშვიდი
და ხელით მიწა ეჭირა გულთან.
გული კი სდუმდა—გამჭყრალი ჩიტი
და საქართველოს ცასავით სუფთა.

მან სამშობლოსთვის გასწირა გული
და ძირს დაეცა აზარბაცებით;
ის ისე მოკვდა, როგორც ჰკვდებოდნენ
მამულისათვის ერისკაცები.

... ის თოვლზე იწვა სამშობლოს კართან.
—ნუ დარდობთ,—გვამცნეს მისმა თვალებმა,
და ღამით ნამდვილ ქარიშხალს ჰგავდა
მასთან მებრძოლთა გამოსალმება.

მოქმედი არმია.

რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი

რვა წელიწადი გავიდა 1934 წლის პირველი დეკემბრიდან—იმ დღიდან, როცა ფაშისტებისაგან მოსყიდული ბანდიტების, ტროცკისტ-ზინოვიეველების ხელმა ვერაგულად გაგმირა პროლეტარული რევოლუციის ტრიბუნი, ლენინგრადის ბოლშევიკების წინამძღოლი, მუშათა კლასის შესანიშნავი ორგანიზატორი, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი, დიდი ბელადის სახელოვანი თანამებრძოლი **სერგეი მირონის-ძე კიროვი**.

აღმართეს რა თავიანთი სისხლიანი ხელი მგზნებარე ტრიბუნის სერგეი კიროვის წინააღმდეგ, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტები ამით უმიზნებდნენ საბჭოთა ხალხს, მის თავისუფლებას, მის აწმყოსა და მომავალს. სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი დიდი ორგანიზატორის, მუშათა კლასის საყვარელი ხელმძღვანელის კიროვის მოკვლით მტრის აგენტებს სურდათ დაბნეულობა, პანიკა გამოეწვიათ პარტიის რიგებში და მშრომელ მასებში, შემდეგ ესარგებლათ არევ-დარევით და გზა გაეკაფათ ფაშისტი ურდოების შემოჭრისათვის ჩვენს სამშობლოში.

მაგრამ ჰიტლერის აგენტებს, საბჭოთა ხალხის საზიზღარ მტრებს, ეს ანგარიში არ გაუმართლდათ. ვერაგულად განგმირული ტრიბუნის კიროვის ნეშტის წინ მწუხარედ თავდახრილი საბჭოთა ხალხი არა თუ დაიბნა, არა თუ შედრკა, პირიქით, უფრო მჭიდროდ დაირაზმა მონოლიტური **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, თავისი ბრძენი ბელადის გარშემო. მუხანათურად გასროლილმა ტყვიამ გააასკეცა სიფხიზლე საბჭოთა ხალხისა, გააერთიანა და შეამჭიდროვა იგი დაუძლეველი წმინდა სიძულვილით ფაშიზმისა და მისი აგენტურისადმი.

და როცა კაცობრიობის, თავისუფლებისა და კულტურის უბოროტესი მტერი—ფაშიზმი მზაკვრულად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას, სერგეი კიროვის უდრეკი სული გადაულახავ ზღუდედ გადაეღობა წინ მუხანათობითა და ფოლადით შეჯავშნულ მტერს ლენინგრადთან, ვოლგის ნაპირებთან, კავკასიონის ქედთან, სწორედ იმ წმინდა ადგილებში, სადაც მგზნებარე ტრიბუნის და დაუცხრომელი დიდი მოღვაწის მირონიჩის სიტყვა და საქმე ათეული წლების მანძილზე ზრდიდა და სჭედდა მილიონი მებრძოლი პატრიოტების ქედმოუხრელ ნებისყოფას და შეუპოვრობას.

მარტოოდენ სილამაზე როდი იმალება კავკასიის მთებშიო,—სწერდა 1918 წელს კიროვი,—ეს გრეხილი კლდოვანი მთებისა გარდაიქცევა იმ უძლიერეს ზღუდედ, რომელზედაც დაიმსხვრევა რეაქციის ყველა ძალა.

თუ ეს წინასწარმეტყველური მოწოდება კიროვისა დღესაც ხორცს ისხამს, ეს მისი ღვაწლიც არის: კიროვისებური სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი დღეს ჭალარა კავკასიონის შვილები.

ფაშისტმა არამზადებმა კიროვი გაგმირეს, მაგრამ კიროვის საქმე ოდნავ ვერ შეარყიეს. მირონიჩის სახელს ატარებენ დღეს ჩვენი ქარხნები, კიროვისებური ერთგულებით რომ ამზადებენ საჭურველს ჩვენი მამაცი არმიისათვის, კიროვის სახელს ატარებენ დღეს საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, კიროვისებური ერთგულებით რომ ამარაგებენ პურს ჩვენი დევ-გმირი მებრძოლებისათვის.

კიროვის უდრეკი სული უდგას მკერდში დღეს ჩვენს მეომრებს ლენინგრადთან და რჟევთან, სტალინგრადთან და კავკასიონის მთებთან, ფრონტის ყველა უბანზე, ყველგან საბჭოთა მეომარში იბრძვის კიროვის უდრეკი ნებისყოფა.

ეს არის თავდები იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გაიმარჯვებს.

ვ. წულუკიძე

კულტურის მნგრეველნი

აღურაცხელია გერმანელ ფაშისტ ვანდალთა დანაშაული, აღურაცხელია მათის მხრით არა მარტო ცოცხალი ადამიანების, არამედ კულტურის ძეგლთა, ადამიანის გონების ბრწყინვალე ნამოქმედართა შეგინების, შეურაცხყოფის და წაბილწვის ფაქტები. ამ ფაქტების ნაწილი თავის დროზე აღნიშნული იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. **მოლოტოვის** ნოტაში. რამდენიმე დღის წინათ საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ახალი დოკუმენტალური ცნობები ჰიტლერელების მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიებზე კულტურულ-ისტორიული ძეგლების ორგანიზებული გაძარცვის შესახებ. ვინ იცის, ჩვენი ქვეყნის ხალხების ისტორიის, კულტურის, ხელოვნების რამდენი შესანიშნავი ძეგლია კიდევ დანგრეული, აფეთქებული, დამწვარ-დაფერფლილი ამ არამზადების მიერ? იქ, სადაც ერთხელ მაინც გაიარა ფაშისტურმა ჩექმამ, კულტურის ძეგლებისა და კერების ნაცვლად გაჩნდა ნაცარტუტა, უკეთეს შემთხვევაში—ცეცხლის ალისაგან შებოლილი კედლები.

სრულიად სამართლიანად და სწორად შენიშნავდა ერთი უცხოური გაზეთი: „ტოლსტოის, ჩეხოვის და ჩაიკოვსკის სახლების განადგურება უმიზნო როდია და ეს არც მარტო ბარბაროსობაა. ეს შეგნებული აქტია, იმ მოსაზრებით ჩადენილი, რომელსაც ვერც ერთი ბარბაროსი ვერ გაიგებდა. დროა უკვე ჰუნები, გოთები და ვანდალები გავამართლოთ დაუმსახურებელი ბრალდებისაგან, სახელდობრ იმისაგან, თითქოს ისინი მოგვაგონებენ თანამედროვე გერმანელ დამპყრობელთ. გერმანელი დამპყრობელნი ბევრად უარესნი არიან ჰუნებზე... ეს შეგნებული, თეორიულად დასაბუთებული მხეცობაა. ბარბაროსს არ ეცოდინებოდა, რომ ტოლსტოის, ჩეხოვის და ჩაიკოვსკის სახლები წარმოადგენდნენ უაღრესად გრძნობიარე ადგილებს, რომელთა შელახვით შეიძლება მწვავე ჭრილობის მიყენება რუსი ხალხისათვის...“

„თეორიული დასაბუთება“, რომლის შესახებაც გაზეთი ლაპარაკობს, სხვათა შორის მოიპოვება გენერალ ფონ-რეიხენაუს აღმაშფოთებელ ბრძანებაშიც, სადაც იგი ჯარისგან მოითხოვს დაპყრობილ საბჭოთა ქალაქებში შენობების განადგურებას და სადაც ეს ტიტულოვანი ბანდიტი ურცხვად აცხადებს: „არც ერთს ისტორიულ ან მხატვრულ ძეგლს აღმოსავლეთში მნიშვნელობა არა აქვს“. მაგრამ მარტო აღმოსავლეთში როდი მძვინვარებენ კულტურის ეს სასტიკი მნგრეველნი, გერმანელებმა პარიზში აიღეს უდიდესი ფრანგი მწერლებისა და მოაზროვნეების რუსოსა და ვოლტერის ძეგლები, მათ გასძარცვეს ლუვრის სახელგანთქმული მუზეუმი და სხვა ფრანგული მუზეუმები პარიზში. მათ გაანადგურეს სამასზე მეტი ისტორიული შენობა და ხელოვნების ძეგლი საფრანგეთში, მათ შორის, ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი—ციხე-კოშკი ამბუაზი. მათ დაანგრიეს უძველესი ქალაქები სუასონი და რუანი. მათ დაასახიჩრეს და დააზიანეს სახელგანთქმული ტაძრები ბოვესა და ამიენში. ტურინში მათ დასწვეს ბიბლიოთეკა ბალზაკის ხელთნაწერებით. მათ მიერ გაძარცულ ფრანგულ მუზეუმებიდან გერმანელმა ყაჩაღებმა გერმანიაში გაზიდეს მეტად ძვირფასი სურათები, სტატუები, ხელთნაწერები, ხოლო მრავალი მოხსნილი ძეგლის ლითონი საომარი იარაღის დასამზადებლად გადაადნეს. გერმანელმა ავიაციამ დაანგრია ისეთი ისტორიული და მხატვრული ძეგლები ინგლისისა, როგორიც არის ვესტმინსტერის სააბატო, გილდჰოლლი და სხვა მუზეუმები ლონდონში, ისეთი ძეგლები, როგორიც არის რომანული ტაძარი კონვენტში და მრავალი სხვა ინგლისური შესანიშნავი შენობა და კულტურის ძეგლი.

ეს ნგრევითი სიგიჟე, ველურობა გერმანელ არამზადებს დიდი ხანია ახასიათებთ. ჯერ კიდევ 1914-1918 წლების ომის დროს მთელი კულტურული მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია გერმანული იმპერიალიზმის ურდოების მიერ საფრანგეთის უძველესი ტაძრების რეიმსის, ამიენის, სუასონის, აგრეთვე ფლამანდური ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლების დანგრევამ ბელგიაში.

თუ ვილჰელმის გენერლები იტაცებდნენ მათ მიერ დაპყრობილ ქალაქებში მხატვრულ განძეულს, რომ იმით გერმანიის კოლექციები შეევსოთ, დღეს ჰიტლერის ბანდები და მათი იტალიელი დამქაშები უაზროდ სპობენ ხელოვნების ყველა იმ ნაწარმოებს, რომელიც მათ არ მოსწონთ, ან ჰყიდიან და ანიავებენ სურათებსა და სტატუებს. ზოგჯერ ისინი არ ზოგავენ თვით გერმანიისა და იტალიის ხელოვნების ძეგლებსაც-კი. ცნობილია, რომ გერმანიაში გამართულ ერთ-ერთ გამოფენაზე ჰიტლერმა, რომელმაც უნიჭობის გამო სრული მარცხი განიცადა, როგორც მხატვარმა, დანით ნაკუწ-ნაკუწად აქცია ერთი სურათი, რომელიც მას არ მოეწონა. თავიანთ „ფიურერის“ მსგავსად, გესტაპოს აგენტებმა დასჭრეს შესანიშნავი ფრანგი მხატვრის ოგიუსტ რენუარის სურათი. გერმანელ ხელისუფალთა ბრძანებით 1938 წელს დანგრეულ იქნა სინაგოგის დიდებული შენობა ნიურნბერგში. იმავე ხანებში ფაშისტებმა გერმანიის მუზეუმებიდან და გალერეებიდან გაძევეს 12 ათასი სურათი, რომელთა ავტორები „რასობრივი თეორიის“ თვალსაზრისით ეჭვს იწვევდნენ. თავიანთი ხაზინის შესავსებად ფაშისტი ხელისუფალნი ჰყიდდნენ ძვირფას სურათებს. იშვიათი გერმანული კოლექციები იყიდებოდა შვეიცარიასა და ლონდონშიც. ამ კოლექციებში იყო, სხვათა შორის, ვანგოგის ნაწარმოები და რემბრანტის სურათი „იუნონა“.

თავიანთ გერმანელ კოლეგებს არ ჩამორჩებიან იტალიელი ფაშისტებიც. ფრანგული გაზეთის „მატენის“ ცნობით, იტალიის ხელისუფლებმა მუზეუმებსა და გალერეების დირექტორებს უბრძანეს შეედგინათ ხელოვნების იმ ნაწარმოებთა კატალოგი, რომელთა გაყიდვაც შეიძლებოდა საზღვარგარეთ. ჯერ კიდევ ამ განკარგულებამდე, მუსოლინის ბრძანებით, გაყიდულ იქნა სახელგანთქმული სტატუა „დისკობოლი“. აღებული თანხიდან 15 ათასი გირვანქა სტერლინგი მუსოლინიმ და მისმა დამქაშებმა ჩაიჯიბეს.

იმავე პერიოდში ღერძის ქვეყნებმა ჩაატარეს იმ მხეცობისა და ნგრევის „გენერალური რეპეტიცია“, რომელიც მათ უაღრეს წერტილამდე აიყვანეს ჩვენში, საბჭოთა კავშირში, დროებით ოკუპირებულ ოლქებში. გერმანელმა ფაშისტებმა თავიანთ იტალიელ და ესპანელ მაჩანჩალებთან ერთად ესპანისა და მის ხელოვნებას 1936-39 წლებში ისეთი საშინელი რისხვა დაატეხეს თავს, რომლის მსგავსსაც მანამდე კაცობრიობა არ მოსწრებია. ესპანელი ხალხის მგზნებარე ტრიბუნი დოლორეს იბარური ამის გამო სწერდა: „ჯოჯოხეთი, რომელიც დანტემ აღწერა, მხოლოდ მკრთალი ანარეკლია იმ ადგილების სინამდვილისა, სადაც ფეხი შესდგეს ჩვენმა თანამედროვე ვანდალებმა“. 1936 წლის ნოემბერში გერმანიისა და იტალიის ავიაციამ დაბომბეს მადრიდის მთავარი მხატვრული ძეგლები, მათ შორის, პრადოს მუზეუმი—ფერწერითი მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმი მსოფლიოში, მუზეუმი, სადაც გამოფენილია ესპანელი კლასიკოსი მხატვრების სახელგანთქმული ტილოები, იტალიელი, ფრანგი, ფლამანდელი და გერმანელი ოსტატების სურათები. ამავე ავიაციამ მოსპო ლირიას სასახლე, სადაც ინახებოდნენ პირველხარისხოვანი სურათები და ხელოვნების სხვა ნაწარმოებნი. ამ იშვიათი მუზეუმების მახლობლად არავითარი სამხედრო ობიექტები არ მდებარეობენ. ყუმბარები რომ მათ ასაფეთქებლად იყო დანიშნული, ეს სჩანს იქიდან, რომ ფაშისტი პილოტები წინასწარ არკვევდნენ, თუ სად იყო მოთავსებული ესა თუ ის მუზეუმი. ფაშისტებმა ცეცხლწამკიდი ყუმბარები დააყარეს მადრიდში აგრეთვე ნაციონალური ბიბლიოთეკისა და ნაციონალური მუზეუმების სასახლეს. მათვე დაამახინჯეს ამ შენობის მთავარი ფასადი, ზარბაზნის ყუმბარით დაამსხვრიეს რალოპე დე-ვეგას სტატუა შენობის თავზე. მათ დაანგრიეს ხელოვნების აკადემიის შენობა, მადრიდის ძველი ტაძრები, გვადალახარის სახელგანთქმული სასახლე ინფანტადო, მე-15 საუკუნის ხუროთმოძღვრების იშვიათი და უაღრესად თავისებური ძეგლი. ქალაქ ალკალა-დეენერესში დაანგრიეს დიდი მხატვრული ძეგლი „კაპელა“, სადაც მონათლა სერვანტესი, მე-16 საუკუნის სახელგანთქმული შენობა უნივერსიტეტისა და სხვა. 1937 წელს გერმანიის ფაშისტურმა ავიაციამ სამ საათ ნახევარში მიწის პირისაგან აღგავა ბასკების ნაციონალური კულტურის ცენტრი გერნიკა, ბასკების ქალაქ დურანგოში მათ დაანგრიეს რამდენიმე უძველესი ტაძარი. ქალაქ ალმერიაში გერმანიის სამხედრო ფლოტმა ყუმბარები დაუშინა და დააზიანა მე-16 საუკუნის კათედრალური ტაძარი, სანსებასტიანის ეკლესია, ხელოვნების სკოლა და სხვა. ბარსელონაში ფაშისტური ავიაციის ცეცხლში დაიღუპა სამხატვრო გალერეა და რომაული კულტურის ძეგლთა მთელი კოლექცია. საგრძნობლად დაზიანდა ბარსელონის ცნობილი ტაძარი, რომელიც მე-11 საუკუნიდან შენდებოდა. ქ. ტერუელში დაამახინჯეს ციხე-კოშკი მე-13 საუკუნის შესანიშნავი ნაგებობა. სავსებით განადგურებულია უძველესი ქალაქები ტორტოსა, რეუსი, ფალსეტი, ნულესი, უსასტიკესი ნგრევა განიცადეს უძველესმა ქალაქებმა ტარაგონამ და საგუნტომ თავიანთი შესანიშნავი გოტიკური, რომანული, მავრიტანული ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლებით. ბით.

ეს არის ფაშისტების მიერ ესპანეთში კულტურული ძეგლების დანგრევისა და განადგურების ფაქტების არა სრული აღნუსხვა.

ესპანეთს, როგორც უკვე ვიცით, ჰიტლერული ბანდა უყურებდა როგორც „საცდელ მინდორს“ ტოტალური ომის თავის საზიზღარი მხეცური მეთოდების შესამოწმებლად. ფაშისტურმა გერმანიამ ამ მეთოდებს ბევრად უფრო ფართო სარბიელი მისცა ევროპის სხვა ქვეყნების ქალაქებში.

საბჭოთა კავშირში ჰიტლერელმა ავაზაკებმა დიდი ნგრევა და ზარალი მოგვაყენეს. სასტიკად მძვინვარებენ ჰიტლერის ჯალათური ურდოები დროებით დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში, ამსხვრევენ და ლეწენ ჩვენი ხალხისა და მთელი კაცობრიობისათვის ძვირფასი კულტურის ძეგლებს. ზოგი მხატვრული განძი, ფაშისტური ჩექმით გათელილი, სამუდამოდ დაიღუპა.

ჩვენი ტერიტორიიდან მტრის განდევნის შემდეგ ჩვენი მუზეუმები და ხელოვნების ძეგლები უეჭველია აღდგენილი იქნება საბჭოთა ხალხის ერთობლივი ღონისძიებით, აგებული იქნება ახალი ბრწყინვალე ძეგლებიც.

საბჭოთა ხალხი თავისი გმირი წითელი არმიით მოსპობს და გაანადგურებს კულტურისა და პროგრესის დაუძინებელ მტერს—ფაშისტ ვანდალებს. ფაშისტი არამზადები ვერ გაექცევიან ჩვენი ხალხის რისხვას.

ა. ფევრალსკი

მუიას გასაჭირი

გრიგოლ ჩიქოვანი

მუიას მხარზე გადაკიდულ საფოსტო ჩანთისათვის ხელი ამოედო და გულზე მიეკრა სათუთად. ჯიქურად მიაბიჯებდა თავაღებული. არაფერს არა ხედავდა, არაფერი არ ესმოდა. ბოგირზე ერთმანეთზე მიწოლილ ლორეებს გადაალაჯა და მაშინ გამოერკვა, როცა კოლმეურნეობის გამგეობის ოთახის კარებს მიადგა. შეყოყმანდა—შევიდე თუ არაო. ერთბაშად წახდა. სხეული როგორღაც დაუმძიმდა. სად მიხვალ, მუია, კიდევ დაფიქრდიო, ეწეოდა უკან რაღაც უხილავი ძალა.

განა ცოტა იფიქრა მუიამ. ასჯერ აწონდასწონა, მაგრამ არა, არა, კიდევ დაფიქრდება. ფიქრის დროს კი მუიას უსაქმოდ გაჩერება არ შეეძლო. წაღის წვერზე სკვინჩასავით წამოსკუპებულ გამხმარ ტალახს შეჰკიდა თვალი, სარმასავით გამოჰკრა ფეხი კიბეს. გამხმარი თიხა საფეხურიდან-საფეხურზე ხტომით დაეშვა ძირს. ახლა მუიამ ფეხები გაუსვა ერთმანეთს. შემხმარი ტალახის ნატეხები მრავალხმიანად ახმაურდნენ ფიცრის კიბეზე, თითქოს ტაშს უკრავენო უნებურად აცეკვებულ მუიას. შემდეგ საბუდიდან რქისტარიანი დანა ამოიღო, ფხეკა დაუწყო, არ მოეშვა, სანამ მთელი წლის მიმხმარი ტალახი არ გააცალა და წაღებს პრიალი არ დააწყებინა. სიბერეში ფეხი ჩადგა და წაღები ჯერ არ გაეწმინდა. მეტის-მეტი ფურთხებისაგან ქვედა ყბა გაუშეშდა, დაიღალა. დაობებული სამგის პრიალმა თვალი რომ მოსჭრა, იამა, შეიმშვენა. მხრებში გაიშალა და მაღალ კისერზე შემდგარი თავი ამაყად ასწია. ქამრის შემოჭერაც სცადა, მაგრამ ამაოდ. უზომოდ წამოწეულ მუცელზე ხელები მოიფათურა მხოლოდ და აჩეჩილი ხალათის კალთის ნაოჭები უკან დაილაგა. ყაბალახი თავიდან მოიგლიჯა. მერე ხელახლა წაიკრა. ყოველთვის მეგრულ ყაიდაზე იკრავდა ყაბალახს, ახლა რატომღაც არ ეჯაშნიკა. გურულად სცადა, არ გამოუვიდა. სიბერემდე ასე ვიკრავდი ყაბალახს, ჩემს რჯულზე და ჩემს ადათზე და ახლა რავა შევირცხვინო თავიო... ამ ფიქრებში იყო, ჭიშკრის ჭრიალი რომ შეესმა. შეკრთა, კარებს ეცა.

— მუია, გამარჯობა!—გაისმა კიბეზე ძაბულის წკრიალა ხმა. მუიამ ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და ორივე კარი ფართოდ გააღო.

— მობრძანდით, მახარია!—აბნეულად წაიდუდუნა და განზე გადგა. მაგრამ ძაბულიმ მათარაზე ხელი მოჰკიდა და მაგიდისაკენ წაიყვანა.

— დაჯექი, მუია!—უთხრა მუიას და იქვე მომუშავე ბუღჰალტერს მიუბრუნდა:

— კიდევ არ დაურეკიათ, შაჰან?

— მანქანები საცაა აქ გაჩნდებიან,— წაიბუტბუტა ქაღალდებში თავ-ჩარგულმა ბუღჰალტერმა.

— ჩვენი მანქანები დავტვირთეთ უკვე, რატომ დაიგვიანეს იმათ? აბა, შენ რისთვის გარჯილხარ, მუია?

მუიას პასუხს არ დაუცადა, ტელეფონის მილაკი აიღო.

— ხობი, ხობი! ხობი ხარ? ალმასკომთან შემაერთე. რა თქვი! კარგი... რას იტყვი, მუია?

— მოიცა, ჰირიმე, ამოვისუნთქო...

— სად მცალია, მუია, ამოსასუნთქავად!

— ტრუპკა დაკიდე, მახარია და მე მაინც მაცალე ამოსუნთქვა, აბა არ ვიტყვი?

— თქვი, მუია, თქვი, რა გიჭირს? აჩქარებდა წასასვლელად წამომდგარი ძაბული.

—მე რა უნდა მიჭირდეს, ჯაგა, ჩემი იუსტინე რომ მყავდეს მადლიერი,—გაუბედავად დაიწყო მუიამ.

— რა დაემართა ბიცოლას?

მუიამ თავი ასწია, ძაბული შემკრთალი სახით შეჰყურებდა.

— ამ თანამდებობიდან უნდა გამანთავისუფლო, თავმჯდომარევ, დაიწყო ხმის კანკალით და საფოსტო ჩანთაზე მიუთითა. სახელის მაგივრად თავმჯდომარეო იმიტომ უთხრა, რომ თავის სიტყვისათვის საქმიანი ტონი მიეცა.

ძაბულის გაეღიმა. მაგრამ მუიას შეშფოთებულმა სახემ და მისმა განცხადებამ გააკვირვა, დაჯდა.

— რაო, რა თქვი, მუია?

— არა, ახლა ვერ ვიტყვი, ჯაგა, მერე შემოვივლი და უფრო დალაგებით აგიხსნი ყველაფერს,—შეწრიალდა მუია და კარებისაკენ გაიწია.

— მუია!

დანაშაულზე წასწრებულივით შედგა მუია. მერე ნელა მიბრუნდა, მაგიდისაკენ წავიდა და დაჯდა.

— იუსტინე მეყრება, ძაბული, ალუღლუღდა და ძაბულის ცრემლიანი თვალები შეანათა.

— ხუმრობ, მუია?—გაოცდა ძაბული.

— ჰმ, ვხუმრობ? კაცს დანა პირს არ მიხსნის და სახუმროდ მაქვს საქმე?

— თქვი, რა მოხდა?

— ან ღვინის სმა მიატოვე, ან მე გამეყარეო.

— რაო?

— გამეყარეო, გამცილდიო.

— ღვინის სმას შენ ახლა ხომ არ იწყებ? —გაეცინა ძაბულის.

— სმა სმას გააჩნია, ჰირიმე.

— როგორ?

— ღვინოში ვიხრჩვები კაცი.

— არაფერი არ მესმის, მუია.

— მასმევენ, ბატონო!—აუწია ხმას მუიამ უკმაყოფილების გამომხატველი კილოთი და თან ერთგვარი ფარული სიამაყით:—კაი კაი დედის შვილი ხარ და ნუ დალევ...

— ვინ შევება მერე მაგ ცოდვას?

— ვინ და ყველა, სოფლის თავიდან დაწყებული სოფლის ბოლომდე, მთელი თემი— ქალი და კაცი.

— მუია, ან მე არა ვარ ამ სალამოს დალაგებულ ჭკუაზე, ან შენ ახლაც ნასვამი უნდა იყო...

— კი, ნასვამი რავა არა, ჯაგა, მაგრამ ჭკუაზე ფხიზლად უნდა ვიყო... ჰო, ამას ვამბობდი, მთელი სოფელი მასმევს-მეთქი,— წათამამდა და ისეთი ხმით განაგრძო, თითქო ახლა შეუდგა საქმის შინაარსის გაცნობასო:

— რა ვქნა, არ დავლიო? ამ ჩანთას რომ უყურებ, ყოველ დილით გაჭედილი გამომაქვს ფოსტიდან, მომქმედ არმიიდან გამოგზავნილი წერილებით. ვისი წერილებია მერე? ჩემი მეზობლის, ჩემი ნათესავის, ჩემი სისხლის და ხორცის. რაღა ცალ-ცალკე ჩამოვთვალო, ჩემიანი არაა ყველა ჩემი სოფლის კაცი? ჰო-და, ფოსტასთან რომ ავთოხარიკდები ამხელა ყაბახი და სოფელში ბომბასავით გავარდება ხმა: მუია მოდის, მისი ჰირიმეო, მერე ჩემს ჭკუაზე არა ვარ. გათენებამდე ჭიშკრებზე გადმომდგარი ქალის და კაცის გნიასია, მეც სიხარულისაგან ცხენივით ავჭიხვინდები. წელიწად ნახევარია ყოველდღე თითო ჩანთა წერილებს და დეპეშებს ვარიგებ და ჯერ ჩემს მიტანილ წერილს და დეპეშას არც ერთ ოჯახში სიხარულის მეტი სიმწარე არ შეუტანია...—შეისვენა, სკამს უფრო მარჯვედ გადააჯდა.—რა ასწერს იმ სიხარულს, ძაბული, გაშანშალებულ წერილს რომ ჩაუშრიალებ ომში წასული ვაჟკაცის დედას ან ცოლს? სიხარულისაგან ჭკუა-დაკარგული ცოლი რომ ბავშვებს დაესევა, კოცნის, ეფერება, უჯავრდება, დაბანს, დავარცხნის, მერე საქათმის დერეფანში ან სასიმინდეში შეაფარებს თავს, წერილს მუხლზე დაიდებს და სიყვარულის ახსნას დაუწყებს ქმარს? ეს კიდევ არაფერია. შენ ის უნდა ნახო, შეყვარებულს რომ შორიდან უჩვენებ წერილს და „მუია შენი ჰირიმე“-ს ძახილით აქაქანებული რომ გამოფრინდება. ვისაც მუხლები და გული უვარგა, ჩემს მკლავზე ვარდება გულშემოყრილი, სხვები კი მოჭრილ ალვის ხესავით ზღართანს ადენენ შუა გზაზე. რაღა შორს წავიდე, პარასკევს შენი ჯონდოს მეორე ორდენით დაჯილდოვების ამბავი რომ მოგიტანე, არ გახსოვს რა დაგემართა, მახარია? ნუ გაწითლდი, ჰირიმე, ყველა ქალებს ასე ემართებათ უზომო სიხარულის დროს იმ სიცხე პაპანაქებაში ორკვარტიანი ყანწი, რომ მომაყუდე, ჯერაც არ გამოვფხიზლებულვარ იმისაგან. ადესა ან ფრანგულა მაინც ყოფილიყო. წმინდა სისხლის ოჯალეში იყო ის დალოცვილი. ვერ აუვიდა; ბატონო, მუია ბალათურია ამდენ ყანწებს და ჩაის ჭიქებს,—აქ დიდად დაჩაგრული კაცივით გაასავსავა წვრილი, მაგრამ ჭკვიანი თვალები:—ეს ჩვენი გამარჯვების დამილიეო, ეს მისი მალე დაბრუნებისაო, ეს ყველაწმინდაო, ეს სამადლობელიო და ჰაიდა, მიყვება და მიყვება ასე. რამდენი „ეს“ ჩამოგითვალო? სოფლის ბოლოს რომ თავს ამოვყოფ, უკვე გამობრუჟული ვარ.

პირი გაუშრა, თავისი საყვარელი მანდარინი მოქექა ჯიბეში, ერთ ადგილას უკბინა ჩვეულებისამებრ, მერე ხელის გულში მოაქცია, ხელი ზევით ასწია, მოუჭირა მანდარინს და პირი შეუშვირა. „მჰა“—გააწკლაპუნა თავისი გრძელი ენა, კმაყოფილებით ამოიხვნეშა და განაგრძო:

— ღვინის სმას კიდევ ქე აუვალ რაცხაფერად, ჭამას ვერ გავართვი თავი. აბა ახლა ეს დააყოლე, აბა ახლა ესო, და ამ ჩემი ცოდვით ამოსავდებმა „ეს“-მა გადამიყოლა კაცი. რაც ჩემი თავი მახსოვს, საფრთხობელასავით აჩონჩხილი ვიყავი მუდამჟამს. ახლა ისე გავსივდი, ჩემს კანში ველარ ვეტევი. მაზარუ მგელივით კისერს ვერ ვაბრუნებ ყაზახი. ყველა ამ უბედურებას, ისიც დაემატა —შიშველი დავრჩი. რაც რომ ჩასაცმელი მქონდა, წყალში გადასაყრელი გამიხდა: დავიქეცი, ექვსი მეტრი ნარმა არ ყოფნის ჩემ პერანგს.

თავი მოისაწყლა. მოიბუზა. საცოდავად აწუწუნდა:

ყველაფერზე უარესი ისა მჭირს, გასუქებამ რომ ათი-თხუთმეტი წლით გამაახალგაზრდავა. მომინელა იუსტინეს ბუზღუნმა: აწი ჩემისთანა დედაბერი რაღათ გინდაო. მოზვერივით დაგორავ კაციო. ალიონისას სახლიდან გასული დაღამებამდე ქალებში ტრიალებო. კარგს გაჭმევენ, კარგს გასმევენ, ტკბილ სიტყვას გეუბნებიან და ტკბილ თვალს გიხვენებიხო. იუსტინეს რაღათ შეხედავ ახუნტრუცებული ყაზახიო.

უცებ აჩქარდა. ჩანთა მოიხსნა მხრიდან.

— გაგაცდინე მე სასიკვდილემ. მანქანები დიდი ხანია მოვიდნენ, უნდა გამანთავისუფლო.

— გადაწყვეტილი გაქვს?—უთხრა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ძაბულიმ და დიდმნიშვნელოვანად შეხედა მუიას.

— რა ვქნა, აბა? ოცი წელიწადია ჩემს იუსტინესთან ვცხოვრობ და ამ სიბერის დროს მივატოვო ქალი?

ძაბულის თვალებში ეშმაკურმა ღიმილმა გაჰკრა. მაგიდის უჯრა გამოსწია, სუფთა ქაღალდი გამოაძვრინა და მუიას წინ დაუდო.

— ჰა, დასწერე განცხადება და ხვალიდან გაგანთავისუფლებ,—რამდენადაც შეეძლო ცივად უთხრა, წამოხტა და გარეთ გავარდა.

მუია არ განძრეულა. არ დაუნახავს, როგორ გავიდა ძაბული. გაშტერებული დასცქეროდა პრიალა ქაღალდს, თვალები მოიფშვნიტა, კვლავ დახედა. არა, არ ეჩვენება. ქაღალდი მის წინ დევს, სუფთა, დაუწერავი.

ოთახში სიწყნარე იყო. ბუღჰალტერი თავის საქმით იყო გართული. გზაზე ფრონტზე გასაგზავნი, საჩუქრებით დატვირთული სამტონიანი მანქანები მიგრიალებდნენ. ეზოში დატვირთვას მოლოდინე სხვა მანქანების გაუმართავი მოტორების ბათქა-ბუთქში ძაბულის ხმაც ისმოდა. ქვასავით ხვდებოდნენ მუიას გულს ეს ხმები. მთელი ქვეყნიდან გარიყულად მიაჩნდა თავი, თუმცა არა, ჯერ ხომ არ დაუწერია განცხადება. ეს წყეული ქაღალდი ისევ წინ უდევს და თვალსა ჭრის მისი უტიფარი პრიალი.

— შაჰან, ჩემო ბიძიკო!—შეჰყვირა და ცეცხლმოდებულივით წამოიჭრა,—რაო, რა მითხრა ძაბულიმ?

— ჰა? არ ვიცი, არაფერი გამიგონია, — თავაუღებლად წაიდუდუნა ბუღჰალტერმა და თავჩაყოფილმა ყუთში რაღაც საბუთს დაუწყო ძებნა.

— დია შური, შენ კი არა, ნეტა მეც არ გამეგონა და აქვე დამელია სული! შაჰან, მომხედე, შე კაცო, ვაი, ძაბული ხომ ჩრტილივით დამისხლტა ცხვირწინ და მიწა გამსკდარი კაცი დამტოვა აქ. შენ მაინც რას მემალები, ქრისტიანო?—ისეთი მუდარით შესჩივლა მუიამ, რომ შაჰანმა უნებლიეთ ამოჰყო თავი ყუთიდან.

— ჰო, რაო, რა გითხრა ასეთი თავმჯდომარემ?

— თავმჯდომარემ კი არა, ძაბულიმ თქვა, ჩემმა ძაბულიმ, ჩემ მხრებზე გაზრდილმა ბაღახამ... ხედავ ამ წყეულ ქაღალდს?

ძაბულის მაგიდისაკენ გაიწია და შორიდან თითით ანიშნა ქაღალდზე.

— განცხადება დამიწერე და ხვალიდან გაგანთავისუფლებო.

შაჰანი ჩაფიქრდა. საანგარიშო ჩოთქს რამდენჯერმე გაჰკრა-გამოჰკრა თითი, თითქოს თავისი ნაფიქრალი შეაჯამაო. მერე კვლავ მუიას შეხედა.—კი, მაგრამ შენც მაგას არ ითხოვდი, მუია?

— მერე რა ვუყოთ, რომ ვითხოვდი?! — იტკიცა მუიამ,—ბიჭოს, ამას დამიხედეთ ერთი. რავა უცებ გადამიდგნენ ყველანი, ითხოვდიო. მე იქნებ ჭკუიდან გადავედი და ბლაღოჩინობაც ქე ვითხოვო. ახავაი, რას შეესწარი მუია ბალათურიავ, რა გაიგონეს დღეს შენმა ყურებმა შენი ძაბულის პირიდან? მე გულის მოსაფხანად და იუსტინეს შესანანებლად რაცხა წამოვიყრანტალე, ამისათვის უნდა მიგექციათ ყურადღება?

უცებ გამოიცვალა, გაიმართა, ჩახმახზე შედგა. თავისი საფოსტო ჩანთა მოიმარჯვა:

— ჩამომართმევთ ამას? მომხსნით? კი, მაგრამ ხვალ რომ მუია ბალათურიამ თავისი გაჭედილი ჩანთით სოფელში არ ჩამოიაროს, იცით, რა ამბავი დატრიალდება? მერეთ მოსვლა იქნება, ბაბაჩია, მერეთ მოსვლა![1]—მაგიდასთან მიიჭრა, ძაბულის მიცემული ქაღალდი აიტაცა, ოთხად დაკეცა და ისე ჩაიდო გულის ჯიბეში, როგორც დიდი მამხილებელი საბუთი.

— მოკვდეს მუია ბალათურია, თუ მუხლებზე არ დაგაჩოქოთ და ისე არ გახვეწნიოთ: დაგვიბრუნდი, მუია, შენი ჰირიმეო.—ხვითონვე შეეშინდა თავისი სიტყვებისა.—მითხარი, ჯერ ხომ არა ვარ მოხსნილი, ბაბაჩია? ეს ქაღალდი ხომ აქ მიდევს ჯიბეში, კარგათ არც დამიხედავს ზედ, რავა შევხედავ, ეშმაკმა დახედა!

ოთახს ელნათურის სხივები მოეფინა.

— ავაიმე, დაღამებულა ჯიმა ღურელი. ჩემი იუსტინე შუკა-შუკა დამეძებს ალბათ, ვაი თუ ჩემი მთვრალი ბადილ სადმე ჩაიჩეხაო. მშვიდობით, მშვიდობით!

კარებისკენ მიტრიალდა, მაგრამ ნაბიჯი არ გადაუდგამს.

— სად მივალ ნეტავი? სახლში მიმესვლება? ეს ამბავი იუსტინემ თუ გაიგო, ქვეყანაზე დამედგომება მერე? არა, ბატონო, არსად წამსვლელი მე არა ვარ.

დაჯდა, ჩანთას მაგრა ჩაბღუჭა ხელი.

— ამ ჩანთას, ბაბაჩია, ძილშიაც არ ვიშორებ მხრიდან. მკვდარს თუ ამაძრობენ, თორემ ცოცხალი თავით არავის დავანებებ. ქვეყანამ იცის, რომ მუია ბალათურია ამ ხელობისათვისაა გაჩენილი.

მარჯვენა ხელი, რომელზედაც უზომოდ დიდი მაჯის საათი ეკეთა, ზევით ასწია.

— გესმის? რა ტაკა-ტუკი გაუდის? ვინ დამაჯილდოვა მე ამ საათით?

— ვინ და კოლმეურნეობამ.

— ხომ?

— კი, კი, რავა არა,—დაემოწმა შაჰანი.

ახლა სათუთუნე ქისიდან ვერცხლის პორტსიგარი ამოაძვრინა, გახსნა, შიგ კოხტად ჩალაგებული პაპიროსები დაანახვა. ერთი ცალი აკლდა პაპიროსებს, ისიც იმ დღეს მოსწია მუიამ, როცა ეს საამაყო საჩუქარი მიართვეს. დანარჩენები მეორე წელიწადია ხელუხლებლად ულაგია. ვერაფრით ვერ შეეჩვია „კეთებულ პაპიროსს“. თუ შენი ხელით არ გაახვიე თუთუნი და ათ-ხუთმეტჯერ არ გადაატრიალ-გადმოატრიალე თითებში, მერე ამდენჯერვე ენის წვერი არ გაუსვ-გამოუსვი პაპიროსის ქაღალდს, ისე რა გემო აქვს თუთუნსო. პორტსიგარი რიხით დახურა და ახლა სახურავის მხრიდან უჩვენა. ელნათურის შუქზე გასაოცრად ბზინავდა ვერცხლი და მუია შიგ თვალებში უნათებდა შაჰანს.

— ხედავ, რავა ბრჭყვიალებს? ვერცხლი კი არა, ხვითოა, ხვითო. ვინ მომართვა ეს მე?

— სოფლსაბჭომ.

— ხომ?

— კი, კი, მუია...

— შენ რომ არა სთქვა, ზედ არ აწერია, ვის მიართვეს და ვინ მიართვა? ეს სირმაშემოვლებული ყაბალახი ვინ გადაადო მუიას მხარზე?—მოიგლიჯა ყაბალახი მხრიდან და ცხვირ წინ აუფრიალა შაჰანს.

— ჩვენმა ქალებმა.

— ხომ?

— კი, კი...

— კი კი არა, ხო თქვა, შე კაცო... მერე და ამხელა კაცი ამ ერცახე ქაღალდით გინდათ გამაფუჭოთ?

ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი და კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ტელეფონის აჩქარებულმა წკრიალმა შეაჩერა. შაჰანი მილაკს ეცა.

— ჰო, ხეთა გახლავართ, ხეთა, ძაბული? ახლავე დაუძახებ... დამიჭირე მუია!—შესძახა მუიას და მილაკი შეაჩეჩა. სკამს წამოედო, კარს მხარი გაჰკრა და ბურთივით გავარდა გარეთ. კარები ჯახუნით მიაწყდნენ ერთმანეთს და რავისით დაიხურნენ. ოთახში სიწყნარე დაეშვა. არც გარედან ისმოდა ხმა. ტელეფონის მილაკი კი განუწყვეტლივ ხრიალებდა—ხეთა, ხეთაო. მუია წელში გაიმართა.

— ჰაი! ჩასძახა მომარჯვებულ მილაკს.— ვინაა? ალმასკომის თავმჯდომარე ლაპარაკობს? კაი გამარჯვება, ამხ. სევერიან! მე ფოსტალიონი მუია ბალათურია გახლავართ. დიაღ, მუია, ბატონო, მუია. ჰაი? გვასახელა კი არა, მეორე თავი დაადგა რაიონს. ქმარი? მართალი ბრძანდებით; ორივე ერთმანეთზე უკეთესია —ძაბული და ჯონდო. ჩემ მხრებზე გაიზარდნენ ორთავე. ჰაი? თვითონ მოდის აგერ. არიქა, ძაბული!—შესძახა და შორიდანვე შეაჩეჩა მილაკი.

ძაბულიმ სული მოითქვა. კულულები უკან გადაიყარა.

— ძაბული ვარ. გამარჯობა, ამხ. სევერიან! სამოცი ტონაა. ოჯალეში? რასაკვირველია, ხუთასი ლიტრი. ოცივე მანქანა გავისტუმრე უკვე. მადლობა მე კი არა, აი, ამათ უნდა უთხრათ.

ძაბულიმ ხელი მაგიდის გარშემო შეყრილ კოლმეურნეებისაკენ გაიშვირა, ისინი მას შემოჰყვნენ. ელნათური შესციცინოდა სახეებს. ყველაზე წინ მუია იდგა. ძაბულის ხელი პირდაპირ მისკენ იყო გაშვერილი. მუია უხერხულად შეირხა, ტანის სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადაიტანა. მჭახეთ ჩაახველა. ძაბულიმ მილაკი ჩამოჰკიდა და თავის მაგიდისკენ გასწია.

— აბა, მუია,—უთხრა გზად, თავის მიერ მიცემული ქაღალდი აძრო, მაგიდასთან დაჯდა და „მოქმედი არმია“ დააწერა.

მუია გაშეშდა: ახლა-კი ვიღუპები კაციო. სუნთქვა შეეკრა და საშინელი ამბის მოლოდინში ისე დაეძაბა სხეული, შეეშინდა—არ გავსკდე კაციო. უკან მდგომთ თვალი შეავლო. ყველანი ძაბულის ელოდნენ.

ამდენ ხალხში შერცხვენას ვერ გაუძლებსო ჩემი გული, გაიფიქრა, უკან-უკან დაიწია კარებისაკენ, და ის იყო შეეხო კიდეც კარს, მუიაო, გაისმა ძაბულის ხმა. მეხდაცემულივით შეტორტმანდა. კოლმეურნეები ჰფარავდნენ ძაბულისაგან. ნეტა კარი მაინც ღია იყოს. ლანდივით გაქრებოდა.

— მუია, მუია სად არის?—აწრიალდა ძაბული.

— ახლა აქ იყო სად წავიდოდა?

— მუია, მუია!

აჩოჩქოლდნენ ოთახში შეყრილნი. მუიამ ისარგებლა, კარს ხელი ჰკრა და თვალის დახამხამებაზე გავარდა ოთახიდან, მაგრამ კიბის თავზე ამოსულმა მდევკაცმა აიტაცა და ატოტებული შეიყვანა ოთახში.

— რა ამბავია? აგერაა მუია,—სთქვა და მორიდით დააყუდა ძაბულის წინ.

— რა მიქენი, მაქსიმე?—ყრუდ ამოიკვნესა მუიამ.

— არიქა, მუია, გაფრინდი, ჰირიმე!—უთხრა ძაბულიმ და წყეული ქაღალდი ხელში შეაჩეჩა.

— გავფრინდე?! სად გავფრინდე, მახარია? —მთლად წახდა მუია.

— ფოსტაში, ფოსტაში, მუია, ელვას უგზავნით იმ ნაწილს, რომლისთვისაც ეს საჩუქრები მივაქვს,—აჩქარა ძაბულიმ, ხელები მხრებში მოჰკიდა და კარებისაკენ წაახონდრიკა. იქ შეაყენა,—დელეგაციას, რომელიც საჩუქრებს გაჰყვება, მუია ბალათურია გაუძღვება...

— ძაბული!—შეყვირა მუიამ.

— გასწი ახლა!—ხელის კვრით მოიშორა ძაბულიმ.—ჩემი ცხენი აბია მანდ, მუია!— მიაძახა მაქსიმემ, მაგრამ მუია უკვე მის ცხენზე იჯდა.

— ჰაიტ, ბარჯა!—შესძახა და ფანჯარასთან მიაგდო პირუტყვი. უზანგებზე წამოდგა და ოთახში თავი შეჰყო.

— ძაბული, აკოცე შენს მუიას, ბაბაჩია!— შესძახა სიხარულისაგან ატირებულმა.

— კიდევ აქა ხარ, მუია?—გაუწყრა სიცილით ძაბული:

— მივფრინავ, ჰირიმე, მივფრინავ, ჰა, ჰაიტ—ისმოდა შარაზე ცხენის ფლოქვების თქრიალში მუიას ხმა.

---

[1] მერეთ მოსვლა—მეორედ მოსვლა.

მოქმედი არმია (ჩრდილოეთის სამხედრო ფლოტი). მეზღვაურები გადადიან შეტევაზე.

კიდევ „ატადეს“ შესახებ

კორნელი კეკელიძე

თამარის ისტორიის გამოცემისას ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ერთს, მანამდი სამეცნიერო ლიტერატურაში შეუმჩნეველ, სახელს „ატადე“. თამარის გარდაცვალებისასო, ამბობს ისტორიკოსი, შეიქნა ტირილი და გოდება, „მსგავსი ვაებათა (ხელნაწერში „ვპოთა“) ატადეჲსთა“. რა არის „ატადე“? სიტყვის აზრისა და შინაარსის გასათვალისწინებლად წარმოებულმა ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ იმაში უნდა გვქონდეს სახელი მითოლოგიური ატისისა, რომლის კულტი გლოვის, ვაების და მწუხარების სინონიმად იყო მიჩნეული („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 43-45). ჩვენს განმარტებას გამოეხმაურა **ს. იორდანიშვილი**, რომელიც ამ სიტყვას უკავშირებს არა ატისის სახელს, არამედ ბიბლიის ერთერთ ციტატას („მნათობი“, 1942 წ. № 9, გვ. 146-150). ბიბლიაში მართლაც მოთხრობილია, რომ, როდესაც ეგვიპტეში გარდაიცვალა ებრაელთა პატრიარქი იაკობი, მისი გვამი, თანახმად ანდერძისა, მისმა შვილმა იოსებმა, ეგვიპტელთა თანხლებით, წამოასვენა დასაკრძალავად პალესტინაში; გზაზე პროცესია შეჩერებულა ერთს ადგილას, რომელსაც ებრაულად რქმევია „გორენ ჰა ატად“ — „კალო ატადისა“, და აქ დაწყებულა საშინელი ტირილი და ვაება, რის გამო ადგილობრივ მკვიდრთ ამ ადგილისათვის უწოდებიათ „აბელ მიცრაიმ“—„გლოვა ეგვიპტისა“. აქედან პროცესია დაძრულა და მისულა „მინდორსა მახპელისასა (ებრაული ტექსტით) წინაშე მამბრესა“, სადაც წინასწარ „გათხრილ“ სასაფლაოში დაუკრძალავთ მიცვალებული (წიგნი „შესაქმეთა“, თავი 50, მუხ. 9-13). იმის დასადასტურებლად, რომ თამარის ისტორიაში გამოყენებულია სწორედ ეს ადგილი, ს. იორდანიშვილი მიმართავს „ებრაულ ენციკლოპედიას“, მაგრამ ამ ენციკლოპედიიდან მას ისეთი ციტატა მოჰყავს, რომელიც ჩვენ მიერ დასმულ საკითხს სულ არ ეხება. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „აბელ მიცრაიმ“ („გლოვა ეგვიპტისა“) გარდმოცემით „ტრაურს“ ნიშნავს, შემდეგი დროის მეცნიერთა აზრით კი „მინდორსო“. ჩვენ ვეძიებთ აზრსა და მნიშვნელობას „გორენ ჰა ატადის“ და არა „აბელ მიცრაიმის“ სახელისას (უკანასკნელის აზრი და მნიშვნელობა თვით ბიბლიაშია ნაჩვენები). ეს ორი სხვადასხვა ამბავია. ამის ძიებისას კი ყურადღება შემდეგს გარემოებას უნდა მიექცეს: მახპელაში ეგვიპტიდან მიმავალი პროცესია რატომ მაინცდამაინც იმ ადგილას ჩერდება და ვაება-ტირილს ეძლევა, რომელსაც „გორენ ჰა ატად“ („ატადის კალო“) ერქვა? იმიტომ, რომ ბიბლიის „ატადის კალო“ თვით დაკავშირებულია ატისის სახელის კულტთან, რომელიც სამგლოვიარო კორტეჟს უფრო მეტად აყენებდა ტირილის, ვაების და გლოვის გუნებაზე. ეს გარემოება, რომელიც „შესაქმეთა“ წიგნის ავტორის შეგნებაში უკვე წაშლილია,—მას საძიებელი სიტყვის ეტიმოლოგია შეიძლება სხვაფრივ წარმოუდგება,— მაჩვენებელია, პირველ ყოვლისა, ატისის კულტის მეტი სიძველისა და პოპულარობისა, ვიდრე ეს დღეს ცნობილია. ის მაჩვენებელია, მეორე მხრით, იმისა, რომ ბიბლიური მითოლოგიის, არქეოლოგიის და გეოგრაფიის კვლევა-ძიებისას მარტო ლექსიკონებისა და ენციკლოპედიის ფურცლით შორს ვერ წავალთ, საჭიროა საკითხის უფრო ფართოდ დასმა და უფრო ღრმად ჩახედვა იმაში.

სხვა საკითხია, მართლა ბიბლიიდანაა ამოღებული ჩვენი ისტორიკოსის ციტატა? ეს, რასაკვირველია, შეუძლებელი არაა, მაგრამ დაჟინებით ამის თქმას ჩვენ წინათაც გაურბოდით და ახლაც ვერიდებით. რატომ? პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ თამარის ისტორიკოსი არა მარტო „სასულიერო განათლების მქონე პიროვნებაა“, არამედ აგრეთვე საეროსიც, ის ბიბლიაზე ნაკლებად არ იცნობს ძველ ბერძნულ მითოლოგიასა და მწერლობას და არც ციტატების მოყვანა ეძნელება იქიდან (ეს დღეს უკვე გარკვეული ამბავია). მეორედ იმიტომ, რომ მწვავე მწუხარების აღსანიშნავად ისტორიკოსს უხმარია „ატადეს ვაება“, ბიბლიური ფორმით კი, როგორც „ატადის კალო“. ასეთ სულიერ მდგომარეობას ხატავენ ანტიკური წარსულის ცოდნის შედარებით შესუსტების ხანაში, მეთვრამეტე საუკუნეში, მაგალითად, თეიმურაზისეული ნუსხა ჩვენი ისტორიკოსისა და პოეტი ბესიკი.

„საგმირო პოეზია“

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა პლატონ კეშელავას ნარკვევი „საგმირო პოეზია“. ავტორს მასში განხილული აქვს როგორც ქართული ფოლკლორი, ისე ინდივიდუალური პოეტური შემოქმედება მე-12 საუკუნიდან დღემდე იმის მიხედვით, თუ როგორ აისახა ხალხურ პოეტურ სიტყვიერებასა და პოეტების შემოქმედებაში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოებრივი ბრძოლა, თუ რა მორალურ-იდეური თვისებები გამოამჟღავნა ქართველმა ხალხმა ამ ბრძოლაში. ნარკვევი 12 თავისაგან შესდგება, ორი უკანასკნელი თავი წარმოადგენს იმის მიმოხილვას, თუ როგორ აისახა ქართველი საბჭოთა პოეტების შემოქმედებაში ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთება, ქართველი ხალხის მეგობრობა მოძმე ერებთან, მის შვილთა გულადობა, ვაჟკაცობა, სულიერი სიმტკიცე, საბრძოლო და შრომითი სიმამაცე, მათი უსაზღვრო თავდადება სამშობლოსათვის ახლანდელ სამამულო ომში.

ამ თვალსაზრისით ნარკვევის ავტორს განხილული ჰყავს თითქმის ყველა თვალსაჩინო ქართველი საბჭოთა პოეტი.

ნარკვევი „საგმირო პოეზია“ შეიცავს 140 გვერდს და ღირს 7 მანეთად.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

სახელმწიფო დაზღვევა
სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ღებულობენ ნებაყოფლობით
დაზღვევაზე საოჯახო ქონებას
ავეჯს, ტანსაცმელს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ჭურჭელს, პროდუქტებს, წიგნებს, სურათებს, სანადირო და სასპორტო ინვენტარს და სხვ.
საოჯახო ქონება შეიძლება დაზღვეულ იქნას რაიმე თანაზე, ხოლო არა უმეტეს მისი ღირებულებისა სახელმწიფო და კომერციული ფასების მიხედვით, გაცვეთის გამოკლებით.
დაზღვევის გადასახადები დაწესებულია 1-დან 4 მანეთამდე სადაზღვევო თანხის ყოველ 1000 მანეთზე იმისდა მიხედვით, თუ რა მასალისაგანაა აგებული და სახურავი იმ შენობისა, რომელშიაც მოთავსებულია სადაზღვევო ქონება.
მოაწყვეთ, დააზღვიეთ საოჯახო ქონება!
მცირე გადასახადებით თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით ზარალისაგან ხანძრის, აფეთქების, მიწისძვრის, წყალდიდობის, ნიაღვრისა და სხვა სტიქიური უბედურების შემთხვევაში.
ცნობებისათვის მიმართეთ რაი (ქალ.) სახდაზღვევის ინსპექციებს.
საქ. სსრ სახდაზღვევის სამმართველო.

სახელმწიფო დაზღვევა
სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ატარებენ მუშა-მოსამსახურეთა
სიცოცხლის კოლექტიურ დაზღვევას
დაზღვევა გაფორმდება იმ პირობით, თუ კოლექტივში მომუშავეთა თანამყოფელ რაოდენობის არა ნაკლებ 40% წერილობით განაცხადებს დაზღვევის სურვილს ერთიან სადაზღვევო თანხაზე.
დაზღვევა მიიღება 500, 1000, 2000, 3000, 4000 და 5000 მანეთის თითოეულ მშრომელზე.
გადასახდელი—12 მან. წლიურად სადაზღვევო თანხის ყოველ 1000 მანეთზე.
სახდაზღვევა გასცემს სადაზღვევო თანხას დაზღვეულის სიკვდილის გამო ან უბედური შემთხვევისაგან ინვალიდობის გამო.
დაზღვევა ტარდება მშრომელთა სამუშაო ადგილის მიხედვით.
მოაწყვეთ სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა!
გარდა სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევისა, შეიძლება სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა, სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა შეიძლება იმ თანხაზე, რომელსაც მოისურვებს მშრომელი.
ცნობებისათვის მიმართეთ რაი (ქალაქის) სახდაზღვევის ინსპექციებს და დაზღვევის აგენტებს.
საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველო.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 7950